საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ზ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.10.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 151/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ტ.-ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ტ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 29 ოქტომბერს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ზ. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. ტ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2013 წლის 29 ივნისს მისი ძმა, მ. ბ. შეხვდა ადვოკატ გ. ტ.-ს, მათ გააფორმეს ხელშეკრულება, რა დროსაც საჩივრის ავტორის ძმამ ადვოკატს გადასცა 500 ლარი ორდერის ამოსაწერად. ბრალდებულმა გირაოთი გათავისუფლების შემდეგ, ადვოკატს გადასცა 1900 ლარი მეგობრის თანდასწრებით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, კონსულტაციების დროს ადვოკატი მას აძლევდა ყალბ ცნობებს სასამართლო პროცესების გადადების მიზნით და საჩივრის ავტორს განუმარტავდა, რომ მისი მიზანი

იყო პროკურატურა ჩიხში მოემწყვდია. ზ. ბ. აღნიშნული ცნობების საფუძველზე ხშირად მიმართავდა საქალაქო სასამართლოს განცხადებებით, რომ ადვოკატი ვერ შეძლებდა პროცესზე გამოცხადებას.

1.4 ზ. ბ.-ის განმარტებით, მან რამდენჯერმე გამოთქვა ადვოკატთან სურვილი, რომ დაეკითხათ მოწმეები ან მოეთხოვათ ექსპერტიზის ჩატარება, თუმცა ადვოკატი მას განუმარტავდა, რომ აღნიშნული ქმედებები არ იყო საჭირო, რადგან შესაძლებელი იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმება და ცდილობდა პროკურორი არ გაებრაზებინა. საჩივრის ავტორის განმარტებით, სავარადუდოდ, ადვოკატი პროკურორთან შეთანხმებულად მოქმედებდა, მათ შეთანხმებულად გაწელეს სასამართლო პროცესი ორ წელზე მეტი ხნით, ადვოკატს კი ზ. ბ.-ის დასაცავად არაფერი გაუკეთებია.

1.5 ზ. ბ.-ის განმარტებით მისი ძმა შეხვდა ადვოკატ გ. ტ.-ს, რათა ხელშეკრულება გაეუქმებინა და ადვოკატს მოსთხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, რათა ბრალდებულს სხვა ადვოკატი აეყვანა, თუმცა ადვოკატმა განუცხადა, რომ არ აპირებდა ფულის დაბრუნებას, რადგან ეს თანხა გაწეული მომსახურებისთვის აიღო.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა გ. ტ.-მ 2018 წლის 6 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით. ადვოკატის განცხადებით, 2015 წლის აგვისტოს დასაწყისში მას მიმართა მ. ბ.-მ და აუხსნა, რომ მისი ძმა იყო და სთხოვა განეხორციელებინა ბრალდებულ ზ. ბ.-ის დაცვა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მ. ბ.-მ მას წარმოუდგინა საქმის მასალები, რომელიც შეისწავლა დეტალურად და აღმოჩნდა, რომ ზ. ბ.-ს ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში და აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა გირაო (პატიმრობის უზრუნველყოფით) 5000 (ხუთიათასი) ლარის ოდენობით. გამოძიება ამ ეტაპისთვის არ იყო დასრულებული, თუმცა არსებული რეალობის გათვალისწინებით, ადვოკატი ვარაუდობდა, რომ ბრალდება დამძიმდებოდა და 117-ე მუხლი 108-ე მუხლზე გადაკვალიფიცირდებოდა, რაც გარკვეულწილად ზრდიდა სამუშაოს. საადვოკატო მომსახურების თანახმად და მხარეთა შეთანხმებით ჰონორარის სახით განისაზღვრა 2500 ლარის გადახდა. მხარეები (მ. ბ. და გ. ტ.) შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი ბრალდებულს მომსახურებას გაუწევდა მხოლოდ გამოძიების ეტაპზე, გირაოს უზრუნველყოფის გამოყენების შემდეგ კი თავად ზ. ბ.-ს უნდა გამოეთქვა სურვილი ადვოკატთან ურთიერთობის გაგრძელებაზე. აღნიშნული პირობებით ხელშეკრულება წერილობით გაფორმდა 2015 წლის 5 აგვისტოს. ხელშეკრულებით განისაზღვრა საადვოკატო ჰონორარი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, რაც გადახდილი იქნა მ. ბ.ს მიერ დათქმულ დროს.

2.3 გ. ტ.-ის განმარტებით, სასამართლოს აღკვეთის ღონისძიება შეფარდებული ჰქონდა 2015 წლის 01 აგვისტოს და მიღებული განჩინებით დათქმულ დროში უშუალოდ მისი ძალისხმევით (შეფასებების ჩატარება, ამონაწერების განახლება, სანოტარო დოკუმენტების შედგენა და სხვა) მოხერხდა გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფა. ადვოკატმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე უძრავ ქონებაზე

ყადაღის დადების თაობაზე, რაც მოსამართლის მიერ დაკმაყოფილდა და ამავე განჩინებით მისი აღსრულება თავად დაევალა შუამდგომლობის ავტორს. ადვოკატის განმარტებით, ჰონორარი არ მოიცავდა საქმის წარმოებისათვის საჭირო წინასწარ ხარჯებს, თუმცა წინასწარი ხარჯები მისთვის არ გადაუხდიათ. მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა უფლება აღარ გაეგრძელებინა ხელშეკრულება, პროფესიული თავმოყვარეობიდან გამომდინარე იკისრა აღნიშნული ვალდებულებაც და ზ. ბ. გათავისუფლდა გირაოს უზრუნველყოფის შემდეგ საპატიმრო დაწესებულებიდან.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან საპატიმრო დაწესებულებაში შეხვედრების დროს, ზ. ბ.-ს გააცნო დაცვის სამომავლო სტრატეგია თუ მათ შორის სამომავლოდ - სასამართლო ეტაპზე ურთიერთობა შედგებოდა. ბრალდებული კმაყოფილი დარჩა და ადვოკატს შესთავაზა სასამართლო წარმოების დროს დაცვის განხორციელება, რაზეც ადვოკატი დათანხმდა და 2015 წლის 14 სექტემბერს მასსა და ზ. ბ.-ს შორის შედგა ხელშეკრულება დაცვის განხორციელებაზე სასამართლოში, რისთვისაც საადვოკატო ჰონორარი განისაზღვრა 1900 (ათას ცხრაასი) ლარით. აღნიშნულ თანხაში იგულისხმებოდა ყველა დანარჩენი ხარჯი, რაც კი საჭირო იქნებოდა ადვოკატის მუშაობისათვის. თანხის გადახდის ვადად განისაზღვრა 2015 წლის 26 სექტემბერი, რაც დარღვეული იქნა ზ. ბ.-ის მიერ, თუმცა ადვოკატს არ შეუწყვეტია ხელშეკრულება და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ახდენდა მომსახურეობას. საბოლოოდ მას თანხა გადაუხადეს თითქმის ერთი წლის დაგვიანებით.

2.5 ადვოკატის განმარტებით საქმე მოცულობითი იყო, დაზუსტდა ბრალი 19-108-ზე, ბრალდებული არ აღიარებდა ბრალად შერაცხულ ქმედებას. ადვოკატს მიაჩნდა, რომ დადგებოდა გამამტყუნებელი განაჩენი და ეს არაერთხელ ჰქონდა ახსნილი ზ. ბ.-ისთვის, მიუხედავად ამისა, ეთანხმებოდა ბრალდებულის სურვილს/პოზიციას და მათი სტრატეგია იყო გამამართლებელი განაჩენის მიღება. ადვოკატი განმარტავს, რომ მას ბრალდებულთან შეთანხმებული ჰქონდა საქმის თითოეული დეტალი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას, ან ბრალდებული ან/და სასამართლო ჩამოაცილებდა საქმეს. სასამართლო განხილვა თითქმის ორწელიწადნახევარი გაგრძელდა და ადვოკატი მთელი ამ ხსნის განმავლობაში, არასასურველ და მატერიალურად მწირ პირობებში, კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს. როგორც ადვოკატი განმარტავს, მას არცერთ შემთხვევაში არ გაუცდენია სასამართლო პროცესი არასაპატიო მიზეზით და არცერთი პროცესი არ გადადებულა მისი არასაპატიო მიზეზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ ამუშავებული იქნებოდა სადამსჯელო მექანიზმები.

2.6 ადვოკატის განმარტებით, სასამართლომ 2017 წლის 5 დეკემბერს მიიღო გამამტყუნებელი განაჩენი და ზ. ბ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. ზ. ბ. დაპატიმრებული იქნა დარბაზში და მისთვის სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაიწყო 2017 წლის 5 დეკემბრიდან. ადვოკატის მიერ 2017 წლის 26 დეკემბერს წარდგენილი იქნა სააპელაციო საჩივარი მიღებულ განაჩენზე, რაც დაშვებული იქნა სასამართლოს მიერ და სააპელაციო სასამართლოში ადვოკატის თანდასწრებით ჩატარდა არაერთი სხდომა, რომელიც ყველა ჯერზე იქნა გადადებული იმ მოტივით, რომ დაცვის მხარეს სურდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება, რისთვისაც ადვოკატმა მოამზადა სათანადო დოკუმენტები (დაზარალებულის თანხმობა, დახასიათებები, ჯანმრთელობის ცნობები პენიტენციალური დაწესებულებიდან და სხვა).

2.7 ადვოკატის განმარტებით, ზ. ბ.-სთან არაერთხელ ქონდა განხილული საკითხი იმის თაობაზე, რომ დიდი ალბათობით გამამტყუნებელი განაჩენი დადგებოდა, ბრალდებულის მოთხოვნა იყო მუშაობა გამამართლებელი განაჩენისთვის, თუმცა როდესაც სასამართლო პროცესები მიუახლოვდა დასასრულს და ბრალდებულმა მოსალოდნელი შედეგი გააცნობიერა, სასწრაფოდ შეიცვალა პოზიცია და ადვოკატს არაერთხელ სთხოვა საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე შუამდგომლობის დაყენება პროკურატურის წინაშე. საპროცესო შეთანხმების გაფორმება საქალაქო სასამართლოში განხილვის დროს არ მოხდა, ადვოკატის მითითებით აღნიშნული გამომსვლელი პროკურორის დამსახურებაც იყო. ადვოკატმა არ იცოდა პროკურორის უკიდურესი ნეგატიური დამოკიდებულება, კონკრეტულად, ზ. ბ.-სთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით. მან სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე მიმართვები განაახლა უშუალოდ მთავარ პროკურორთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, რაც მათ საშუალებას აძლევდათ, რომ პროცესები გადადებულიყო, რადგან მთავარი პროკურორის პასუხი არ იცოდნენ, სასამართლო კი არ ზღუდავდათ დროში, სწორედ ამ მიზეზით მოხდა სხდომის გადადებაც.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მან სააპელაციო განხილვის ეტაპზე მოამზადა არაერთი ისეთი ხასიათის დოკუმენტი, რომელიც საჭირო იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმებისათვის შუამდგომლობაზე დასართავად, მათ შორის იშუამდგომლა საპატრიარქოს წინაშე, რათა ამ უკანასკნელს ეშუამდგომლა მთავარ პროკურორთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1. ადვოკატი გ. ტ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2. ზ. ბ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 29 ოქტომბერს.

3.3. სადავო ქმედება განხორციელდა 2013-2017 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. ტ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1. საჩივრის ავტორის პრეტენზიით ადვოკატმა გ. ტ.-მ მისი ინტერესების დაცვის მიზნით არ აწარმოა საქმე სრულყოფილად და ჯეროვნად, ის ცდილობდა ყალბი ცნობების საფუძველზე ჩანიშნული საპროცესო სხდომების გადადებას.

5.2. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ გ. ტ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

5.3. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

5.4. „სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე ადვოკატებმა პროფესიული მოვალეობების შესრულებისას, დაცვის უფლება უნდა განახორციელონ კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით. ადვოკატს ევალება გაახმოვანოს კლიენტის პოზიცია და სათანადოდ დაიცვას მისი ინტერესები, რაც სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით, კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებას გულისხმობს" (ეთიკის კომისიის 2011 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე 096/11).

5.5. ადვოკატი გ. ტ. არ ადასტურებს საჩივრის ავტორის პრეტენზიებს და აღნიშნავს, რომ მან ყველა საშუალება გამოიყენა ზ. ბ.-ის ინტერესების დასაცავად. ადვოკატის განმარტებით, 2015 წლის 01 აგვისტოს მიღებული აღკვეთის ღონისძიების შესახებ განჩინებით დათქმულ დროში მოახერხა გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფა; ზ. ბ.-ს გააცნო დაცვის სამომავლო სტრატეგია; 2017 წლის 26 დეკემბერს წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რაც მიღებული იქნა სასამართლოს მიერ და სააპელაციო სასამართლოში ადვოკატის თანდასწრებით ჩატარდა არაერთი სხდომა, რომელიც ყველა ჯერზე იქნა გადადებული იმ მოტივით, რომ დაცვის მხარეს სურდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება, რისთვისაც ადვოკატმა მოამზადა სათანადო დოკუმენტები (დაზარალებულის თანხმობა, დახასიათებები, ჯანმრთელობის ცნობები პენიტენციალური დაწესებულებიდან და სხვა) და არაერთხელ მიმართა მთავარ პროკურორს საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით; ადვოკატმა საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით იშუამდგომლა საპატრიარქოს წინაშე, რათა ამ უკანასკნელს ეშუამდგომლა მთავარ პროკურორთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.

5.6. საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედებების შეფასების მიზნით გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები. საქმეში წარმოდგენილია მ. ბ.-ს და გ. ტ.-ს შორის 2015 წელი 09 აგვისტოს გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება,

რომლის მიხედვით ადვოკატ გ. ტ.-ს ბრალდებულ ზ. ბ.-ის ინტერესების დაცვა უნდა განეხორციელებინა გამოძიების ეტაპზე, რისთვისაც მ. ბ.-მ გადასცა 500 ლარი. საქმეში ასევე წარმოდგენილია 2015 წლის 14 აგვისტოს გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია ზ. ბ.-სა და გ. ტ.-ს შორის და რომლის მიხედვით ადვოკატს ზ. ბ.-ის ინტერესების დაცვა უნდა განეხორციელებინა სისხლის სამართლის საქმეზე ყველა ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით ჰონორარი განისაზღვრა 1900 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ადვოკატის მიერ კლიენტის სასარგებლოდ განხორციელებული მოქმედებები დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით: განცხადებით, რომლის მიხედვით გ. ტ.-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს გირაოს უზრუნველყოფის თაობაზე, რისთვისაც 2015 წლის 4 აგვისტოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შეფასებული იქნა ზ. ბ.-ის დედის, ლ. ბ.-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, აღნიშნული დასკვნა ასევე წარმოდგენილია საქმეში. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 აგვისტოს განჩინებით, ბრალდებულ ზ. ბ.-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის გ. ტ.-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო ლ. ბ.-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას ზ. ბ.-ის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 01 აგვისტოს განჩინებით აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაოს თანხის 5000 ლარის სანაცვლოდ. საქმეში ასევე წარმოდგენილია გ. ტ.-ის მიერ შედგენილი ზ. ბ.-ის სააპელაციო საჩივარი. 2018 წლის 04 იანვრის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის მიერ სააპელაციო საჩივარზე წარდგენილი შესაგებელიდან ირკვევა, რომ სააპელაციო საჩივარი გ. ტ.-მ წარადგინა სასამართლოში. ადვოკატმა ეთიკის კომისიაში ასევე წარმოადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის წარდგენილი განცხადება, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პასუხები მის მიერ წარდგენილ განცხადებებზე და თბილისის მთავარანგელოზი მიქაელისა და ყოველთა ზეციურ ძალთა სახელობის ტაძრის მოძღვრის მიერ გაცემული რეკომენდაცია-დახასიათება, რომელიც ადვოკატმა საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით წარადგინა.

5.7. ადვოკატმა უარყო საჩივრის ავტორის პრეტენზია სხდომების არასაპატიო მიზეზით გადადების თაობაზე და აღნიშნა, რომ ასეთის არსებობის შემთხვევაში მის წინააღმდეგ ამოქმედებული იქნებოდა სადამსჯელო მექანიზმები, რასაც ადგილი არ ჰქონდა. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა საჩივრის ავტორის პრეტენზიას ადვოკატის მიერ სხდომების არასაპატიო მიზეზით გადადების თაობაზე, შესაბამისად მხარეთა ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებისა და მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში საჩივრის ავტორის აღნიშნული პრეტენზია ვერ დასტურდება.

5.8. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დგინდება, რომ გ. ტ.-ის მიერ განხორციელებული სამართლებრივი მოქმედებები ემსახურებოდა კლიენტის ინტერესების დაცვას. ის ფაქტი, რომ საქმეზე არ დადგა კლიენტისათვის სასარგებლო შედეგი, თავისთავად არ გულისხმობს ადვოკატის არაკეთილსინდისიერ და არაკვალიფიციურ მომსახურებას.

5.9. საპროცესო კოლეგიამ სარწმუნო მტკიცების სტანდარტით ვერ დაადგინა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.ა მუხლის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლის დარღვევა, შესაბამისად ადვოკატ გ. ტ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №151/18 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ გ. ტ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/